ქ. თბილისი „3“ ნოემბერი 2009 წ.

მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტის და ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის

თანამშრომლობის შესახებ

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის გელა გელაშვილის სახით, გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის ნიკოლოზ ჩიხრაძის სახით და ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი, წარმოდგენილი დირექტორის გიორგი თავაძის სახით, - შემდგომში „მხარეები“, ისწრაფვიან რა ურთიერთობების განვითარებისა და განმტკიცებისაკენ, იღებენ რა მხედველობაში სამეცნიერო თანამშრომლობაში სამმხრივ დაინტერესებას, აცნობიერებენ რა მასალათმცოდნეობის, მყარი სხეულების ფიზიკისა და აფეთქების ფიზიკის მიმართულებებით ქართული სამეცნიერო სკოლების ტრადიციებსა და მიღწევებს, ახალი მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების მიმართულებით მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს და ამ მიმართულებით ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

მხარეები წაახალისებენ მასალათმცოდნეობის, მყარი სხეულების ფიზიკისა და აფეთქების ფიზიკის მიმართულებებით კვლევების სფეროში ურთიერთობათა განვითარებას და განახორციელებენ თანამშრომლობას საერთო ინტერესების სფეროებში.

მუხლი 2

მხარეები ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის განვითარებას მაღალტექნოლოგიური მასალების მიღების, კვლევისა და გამოყენების მიმართულებით და განახორციელებენ შემდეგ ღონისძიებებს:

- ერთობლივი სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროექტების მომზადებას;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზების, ექსპერიმენტული და გამზომი აპარატურის ერთობლივი გამოყენებას;
- სახელმწიფო პროგრამებში ერთობლივ მონაწილეობას;
- საერთაშორისო პროგრამებში ორმხმრივ და სამმხრივ მონაწილეობას;
- ყოველმხრივ შეუწყობენ ხელს ახალგაზრდა კადრების მომზადებას და მათ პროფესიულ ზრდას;
- თანამშრომელთა ნაშრომების პოპულარიზაციას საკუთარ და პარტნიორ ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში;
- მეცნიერ-თანამშრომელთა გაცვლით საჯარო მოხსენებებს;
- მოთხოვნილების შესაბამისად აუდიტორიების, სალექციო და საკონფერენციო დარბაზების გამოყოფას;
- საბიბლიოთეკო ფონდებით თავისუფლად სარგებლობის უზრუნველყოფას მხარეების თანამშრომლებისათვის;
- ერთობლივ სამეცნიერო ურთიერთობების დამყარებას მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან საერთო კვლევისა და სამეცნიერო პროექტების შესასრულებლად;

- ერთობლივი სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების მომზადებას, წარდგენას უნივერსიტეტებში და ზრუნვას მათი განხორციელებისათვის;

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასა და განმარტებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

მუხლი 4

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას ცვლილებები და დამატებები.

მუხლი 5

ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს რომელიმე მხარის მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია ქალაქ თბილისში 2009 წლის 3 ნოემბერს ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

ხელმოწერები:

მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის
ინსტიტუტის დირექტორი
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
ტ. მ. დ., პროფესორი — გიორგი თავაძე

ე. ანდრონიკაშვილის სახელობის
ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი
დოქტორი — გელა გელაშვილი

გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტის
დირექტორი, დოქტორი, პროფესორი — ნ. ჩიხრაძე